ორი ცენტრი... უცენტროდ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 10 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (მოსკოვი) 1:0 (0:0).

“ტორპედო”: კავაზაშვილი, მედაკინი, შუსტიკოვი, მეშჩერიაკოვი, ვორონინი, განინი (აფანასიევი), კონოვი, ივანოვი, პოსუელო, ბატანოვი, სერგეევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

ბრაზილიურმა სისტემამ, რომელმაც მის ავტორებს ორჯერ მოუტანა მსოფლიოში უძლიერესი გუნდის ტიტული, მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს ფეხბურთში. მართალია, ამ სისტემის ასაკი ჯერ არ გასცილებია 5-6 წელს, მას უკვე აქვს თავისი ჩამოყალიბებული კლასიკური სახე (1+4+2+4) და ახლა თითქმის ვერ შეხვდებით “ა” კლასში გუნდს, რომელიც შეიძლება მცირეოდენი კორექტივით და ვარიანტით, მაგრამ მაინც არ მიმართავდეს მას.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, მოსკოვის “ტორპედოს” შარშანდელ წარუმატებლობას მიმომხილველები სამართლიანად მიაწერდნენ მის ტაქტიკურ კონსერვატიზმს, ერთგვარ “კარჩაკეტილობას” და ამ სიახლეთა უგულვებელყოფას, რომელსაც ახლა ადგილი აქვს როგორც საერთაშორისო ფეხბურთში, ისე ჩვენშიც. ეტყობა, ეს გაკვეთილი ტორპედოელებმა, თუმცა მოგვინებით, მაინც გაითვალისწინეს და შესაბამისი გადაადგილებანიც მოახდინეს თავიანთ გუნდში, მაგრამ ეს მაინც არაა წმინდა ბრაზილიური განლაგება, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ორი ცენტრალური მცველიდან ერთი, კერძოდ, ვორონინი, ხშირად ტოვებს ზონას, თან მიჰყვება თავის მოპირდაპირეს და არღვევს დაცვის ხაზის მთლიანობას. ცენტრალური მცველის ასეთ “ექსკურსიებს”, როგორც წესი, მოსდევს სხვა მოთამაშეთა ფუნქციების დარღვევაც (უკან იხევენ ნახევარმცველი და თავდამსხმელი), რაც საბოლოოდ შლის საერთო გეგმის მთლიანობას, უკარგავს სისტემას მთავარ ღირსებას და მოწინააღმდეგის ორი ცენტრფორვარდიდან ერთ-ერთს საშუალებას აძლევს მოახდინოს ფრონტალური მანევრები თავისუფალი ადგილის მოსაძებნად.

ამგვარი მანევრების საშუალება მრავალჯერ ჰქონდა თბილისელთა დაწყვილებულ ცენტრს, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვს, ამ ზონაში ჩვენი ცენტრების მხრივ ადგილი ჰქონდა არა ტაქტიკურ ბრძოლას მეტოქის სუსტი “უჯრების” გამოსაყენებლად, არა მახვილგონივრულ ძიებას ამ სისუსტეთა ასაღებად, არამედ წმინდა ტექნიკური ხასიათის შეტაკებებს დრიბლინგის გამოყენებით, რის შედეგადაც ტორპედოელთა დაცვაში სისტემატურად ხდებოდა დატოვებული ადგილის შევსება.

დინამოელთა ტაქტიკა დაცვაში ზუსტად მიჰყვება სისტემის პრინციპებს. შეიძლება აქ მოხდეს ტექნიკური დარღვევა, ინდივიდუალური შეცდომა რომელიმე მოთამაშის მხრივ, მაგრამ ოთხივე მცველმა ზედმიწევნით იცის თავისი “კვარტეტის” თვითეული ნოტა, მითუმეტეს, რომ “პირველი ვიოლინოს” პარტიას აქ ასრულებს თავისი საქმის დიდი ოსტატი - გ. ჩოხელი.

სხვაგვარადაა საქმე თავდასხმაში, კერძოდ, გაორებულ ცენტრში. რა თქმა უნდა, როგორც იამანიძის, ისე ბარქაიას საშემსრულებლო ხელოვნება, თამაშის ტექნიკა და შრომისუნარიანობაც საუკეთესოა, ბურთის მიღება, დრიბლინგი, და დამუშავება უნაკლო, მაგრამ ამ ანსამბლში (მეტრეველი-ბარქაია-იამანიძე-მესხი) იკარგება ამ

სისტემის არსი, რომელსაც ჩვენი გუნდი მისდევს. ფლანგები მოქმედებენ თანამედროვე ფეხბურთის სრული, თითქმის იდეალური მოთხოვნების სიმაღლეზე, ცენტრში კი არ ჩანს დამამთავრებელი, დასკვნითი ფაზა, არაა დამკვრელი ძალა, სადაც უნდა ლოგიკური წერტილი დაესვას დაწყებულ იერიშს.

ყოველი შეტევის მიზანია კარის აღება. ბურთის მიტანა კართან ძალზე ძნელია და მით უფრო დასანანია, რომ ამ სიძნელის გადალახვის, კართან ბურთის მიტანის შემდეგ ხდება მისი სისტემატური დაკარგვა. ეს კი ასე იყო თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში. ოთხივე ჩვენი ფორვარდი დაახლოებით ერთი ტიპის მოთამაშეა, ოთხივეს შეუძლია ბურთის უნაკლოდ ფლობა, მაგრამ მათგან ერთზე უნდა გაკეთდეს აქცენტი საიმისოდ, რომ მოპირდაპირე კარი მუდმივი უშუალო საფრთხის წინაშე იმყოფებოდეს. ფლანგებიდან მოწოდებული საუკეთესო ბურთები ხშირად იკარგება და 90 წუთის განმავლობაში არც ერთ ცენტრს ხეირიანად არ დაურტყია კარში. ამიტომ იყო, რომ "ბომბარდირის" ფუნქციების თავის თავზე აღება სცადა გ. სიჭინავამ, მაგრამ მისი დარტყმები არ იყო ზუსტი.

ერთადერთი გოლი, რომელმაც "დინამოს" გამარჯვება მოუტანა, გატანილ იქნა არა მარტო ინდივიდუალური გარღვევის შედეგად, არამედ სწორი ტაქტიკური სვლების შესრულების მეოხებითაც. მეორე ტაიმის მე-8 წუთზე მესხი სწრაფად გავიდა მცველებს შორის და კარში დაარტყა. კავაზაშვილმა ვერ დაიჭირა ბურთი და ბარქაიამ სწორად შერჩეულ პოზიციიდან ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი. ფლანგების გარღვევისას, რასაც ჩვენი გარემარბები რეგულარულად ასრულებენ, ცენტრალურმა ფორვარდებმა ასე უნდა ეძებონ თავისუფალი ადგილი და შეასრულონ თავიანთი უმთავრესი ფუნქციები. მაშინ გუნდის ამ დიდ უპირატესობას, რომელიც მას აქვს თამაშში, სათანადო გამოსახვა ექნება ანგარიშშიც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მატჩის 84-ე წუთი. დინამოელთა კარის ბედი ბეწვზე ეკიდა, ვინაიდან ივანოვის გადაცემის შემდეგ პოსუელო პირისპირ დარჩა ცარიელ ძელების წინ, მაგრამ ამ მომენტში ბურთს მიუსწრო ზეინკლიშვილმა და მკერდით გამოიტანა იგი გარეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გოლი გარდაუვალი იყო. მცველი ღირსი იყო იმ აპლოდისმენტებისა, რომელიც მას მიუძღვნეს მაყურებლებმა. გამარჯვება მოპოვებულ იქნა მძიმე ბრძოლაში, ძლიერ მოწინააღმდეგესთან და ამიტომ ახალ 2 ქულას დინამოელთა აქტივში მით უფრო მეტი ფასი აქვს.

განვლილ მატჩში დაწესებული იყო გამომცემლობა "ნაკადულის" ორი პრიზი ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეებისათვის. ორივე პრიზმა ღირსეული ადრესატი ჰპოვა: გ. ჩოხელი და ვ. ივანოვი.

ბ. ქორქია.

"ლელო", 11 აპრილი, 1963 წ.